

სკოლების დეპოლიტიზება: ძირითადი ტენდენციები, მიგნებები და გამოწვევები

რეგიონული ნდობის ჯგუფების საქმიანობის ანგარიში

2022

სარჩევი

შესავალი 3

ანგარიშის მიზანი და სტრუქტურა 5

ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია 6

ნდობის ჯგუფები და მათი საქმიანობის შედეგი 7

პოლიტიზების ინსტრუმენტები 10

დასკვნა და რეკომენდაციები 12

დოკუმენტი მომზადებულია განათლების კოალიციისა (EFA) და ღია სივრცე კავკასიის (COS) ერთობლივი პროექტის – „რეგიონული ნდობის ჯგუფები განათლების დეპოლიტიზებისთვის“ – ფარგლებში ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორები არიან სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD) და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GID).

შესავალი

2020 წელს განათლების კოალიციისა და პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის ინიციატივით, შემუშავდა განცხადება განათლების დეპოლიტიზების შესახებ, რომელსაც 38-მა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მოაწერა ხელი.[1] აღნიშნული განცხადება საფუძვლად დაედო განათლების სპეციალისტების, უფლებადამცველებისა და მედიის წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებულ სკოლების დეპოლიტიზების საზოგადოებრივი კომისიის შექმნას[2], რომლის მიზანია დაიცვას ზოგადი განათლების სისტემაში ჩართული ადამიანები (მასწავლებლები, დირექტორები და ა. შ.) პოლიტიკური ნიშნით დევნისა და დისკრიმინაციისაგან. მოცემულ კონტექსტში განათლების კოალიციამ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფინანსური მხარდაჭერით და ორგანიზაციასთან „ღია სივრცე კავკასია“ პარტნიორობით განახორციელა პროექტი „სკოლების დეპოლიტიზება“ და მოამზადა ანგარიში[3], რომელშიც წარმოდგენილია 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების/ფაქტების ანალიზი და რეკომენდაციები.

პროექტის „სკოლების დეპოლიტიზება“ განხორციელებული საქმიანობის შედეგად მკაფიოდ გამოვლინდა, რომ შიშისა და უნდობლობის გამო ადგილობრივ დონეზე საჯარო სკოლებში დასაქმებულ ადამიანებს უჭირთ პოლიტიკური დევნის შესახებ საუბარი დედაქალაქიდან ჩასულ მკვლევრებთან თუ უფლებადამცველებთან. მათ არ აქვთ სათანადო ცოდნა სფეროში არსებული სამართლებრივი ნორმების, თავიანთი უფლებებისა და მათი დაცვის შესაძლებლობების შესახებ. ასევე, რეგიონულ სამოქალაქო ორგანიზაციებში სუსტადაა განვითარებული კომპეტენციები საარჩევნო, განათლებისა და დისკრიმინაციის საკითხებში, იმისათვის, რომ მათ მოახდინონ ადგილებზე მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეძლონ კვალიფიციური დახმარების გაწევა განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანებისათვის.

სწორედ ხსენებული პრობლემების პასუხად დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი „რეგიონული ნდობის ჯგუფები განათლების დეპოლიტიზებისთვის“.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით შეიქმნა ათი რეგიონული ნდობის ჯგუფი, რომელთა დაკომპლექტება სწორედ მულტიდისციპლინური შემადგენლობით[4] მოხდა ადგილებზე - მოქმედი საზოგადოებრივი, მედია ორგანიზაციების წარმომადგენლების, სამოქალაქო აქტივისტების, უფლებადამცველებისა და განათლების სფეროში დასაქმებული პირებისაგან. ნდობის ჯგუფების ძირითად მიზანს წარმოადგენს ზოგადი განათლების სფეროში დასაქმებულ ადამიანებზე პოლიტიკური ზეწოლის, იძულებისა თუ სხვა შესაბამისი უკანონო ქმედებების იდენტიფიცირება, ინფორმაციის შეგროვება და რეაგირება, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ სასკოლო საზოგადოებაში ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა და პოლიტიკურ პროცესებში მათი უკანონო ჩართვის პრევენცია. პროექტის ფარგლებში დეპოლიტიზების კამპანიამ საზოგადოებრივი მოძრაობის სახე შეიძინა და დაისახა გრძელვადიანი ამოცანები.

სკოლების დეპოლიტიზების პროექტი და რეგიონული ნდობის ჯგუფები აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და მედია საშუალებებთან.

---

[1] საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება

[2] სკოლების დეპოლიტიზების საზოგადოებრივი კომისია

[3] საჯარო სკოლების დეპოლიტიზება – გამოწვევები და ტენდენციები

[4] მულტიდისციპლინური მიდგომით ღია სივრცე კავკასიამ არაერთი წარმატებული პროექტი განახორციელა (მაგ: „მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეების საჭიროებების კვლევა იმერეთში“ PROloG -ის და „მტკიცებულებებზე დაფუძნებული დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასა და პარლამენტს შორის სოფლის მეურნეობის, გარემოსა და ინფრასტრუქტურის საკითხებში“ ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით).

პროექტის ფარგლებში შეირჩნენ რეგიონული ნდობის ჯგუფების კოორდინატორები, რომ-ლებმაც ჯგუფის წევრებთან ერთად განსაკუთრებული როლი ითამაშეს პროექტის წარმატებაში, განათლების დეპოლიტიზების საზოგადოებრივი მოძრაობის ჩამოყალიბებაში გადაიდგა მნიშ-ვნელოვანი ნაბიჯები.

კოორდინატორები არიან: ნაზიბროლა რეხვიაშვილი - აჭარა; მარიამ გოროზია - სამეგრელო - ზემო სვანეთი; თემურ სუყაშვილი - ქვემო ქართლი; მარიამ გინოსიანი - სამცხე-ჯავახეთი; გიორგი პაპაშვილი - კახეთი; მედეა პავლიაშვილი - შიდა ქართლი; ნათია ხუცურაული - გურია; ანა შალიკიანი - ქვემო იმერეთი, ქვემო სვანეთი; ნათია ბარბაქაძე - ზემო იმერეთი, რაჭა; ფერიდე გაგოევა - მცხეთა-მთიანეთი. გვსურს, პროექტის სახელით, დიდი მადლობა გადა-ვუხადოთ მათ გაწეული შრომისა და საქმიანობისათვის! ამავდროულად, მოხარულები ვართ, რომ დეპოლიტიზების საზოგადოებრივ მოძრაობაში მათი საქმიანობა გრძელდება!

ანგარიშის მიზანი და სტრუქტურა

მოცემული ანგარიშის მიზანია, მიმოიხილოს პროექტის – „რეგიონული ნდობის ჯგუფები განათლების დეპოლიტიზებისთვის“ – ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი ტენდენციები, მიგნებები და გამოწვევები. ამავდროულად, ტექსტში აღწერილია პოლიტიზების ინსტრუმენტები და ბერკეტები, რომელსაც იყენებს როგორც შიდა სასკოლო სისტემა, ასევე, ცენტრალური ხელისუფლება.

დოკუმენტი, ასევე, ეხება რეგიონული ნდობის ჯგუფების, როგორც დეპოლიტიზების საზოგადოებრივი მოძრაობის საქმიანობის სპეციფიკას, აგრეთვე, დაბრკოლებებსა და განვითარების სამომავლო ორიენტირებს.

ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები მიმართულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე არამართლზომიერი პოლიტიკური გავლენების შემცირებისკენ, რაც გულისხმობს, პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტებისა და ბერკეტების ხელშემწყობი საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას, სისტემურ ცვლილებებსა და საინფორმაციო კამპანიის წარმართვას.

ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია

დეპოლიტიზების რეგიონული ჯგუფები ჰორიზონტალური და ვერტიკალური პრინციპების გამოყენებით საქმიანობდნენ, რაც გულისხმობს მჭიდრო საკოორდინაციო და საინფორმაციო კავშირს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე. კერძოდ:

ქვეყნის მასშტაბით დეპოლიტიზების 10 რეგიონულ ნდობის ჯგუფში გაწევრიანდა 120 ადამიანი, აქედან აქტიურ, პერმანენტულ კომუნიკაციას აწარმოებდა 84 წევრი კოორდინატორების ჩათვლით. ჯგუფის თითოეული წევრის მიერ შეგროვებული ინფორმაციის თავმოყრა და განხილვა ხდებოდა კოორდინატორთან რეგიონის დონეზე, რომელიც მის ხელთ არსებულ ინფორმაციასთან ერთად ასახავდა მათ ყოველთვიურ ანგარიშში. ანგარიში ეგზავნებოდა პროექტის გუნდს შემდგომი რეაგირების დაგეგმვისა და საჯარო პოზიციონირების მიზნით. ძირითადი მიგნებები და ტენდენციები ასევე, განიხილებოდა რეგიონული კოორდინატორების შეხვედრებზე.

პროექტის ფარგლებში თვისებრივი ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოყენებულ იქნა არაალბათური (მიზნობრივი) შერჩევა ხელმისაწვდომობის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში მიზანმიმართულად ხდება სამიზნე ჯგუფის იმ წევრების/ერთეულების შერჩევა, რომლებიც უშუალოდ კვლევაში მიიღებენ მონაწილეობას. შესაბამისად, კვლევის შედეგები მთელ სამიზნე ჯგუფზე არ ზოგადდება, თუმცა ეს საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს ის ძირითადი ტენდენციები, რაც სპეციფიკურად დამახასიათებელია სამიზნე ჯგუფისათვის.

პროექტის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვება და ვალიდაცია ხდებოდა როგორც ფოკუს ჯგუფების მეშვეობით (არაკლასიკური), ასევე – სიღრმისეული ინტერვიუებით და მედია/სადამკვირვებლო ორგანიზაციების განცხადებებისა და ანგარიშების შესწავლის საფუძველზე. კერძოდ, ჯგუფებში ჩართული პირების მიერ ინფორმაციის შეგროვება ხდებოდა პირველად და მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით. ნდობის ჯგუფის წევრებისათვის ინფორმაციის მიღების პირველად წყაროს წარმოადგენდნენ სასკოლო თემის წარმომადგენლები (მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია, მშობლები და სხვა). მეორეულ წყაროს - მედია, სადამკვირვებლო ორგანიზაციები, სამოქალაქო სექტორი და სხვა. ადგილობრივ დონეზე იმართებოდა პერმანენტული შეხვედრები (ჰორიზონტალური პრინციპი).

პროექტის ფარგლებში სასკოლო თემთან დაკავშირებული არამართლზომიერი პოლიტიკური გავლენების შესახებ ინფორმაციის გარდა, ინფორმაცია გროვდებოდა თავად რეგიონული ნდობის ჯგუფების საქმიანობაზეც. მოპოვებული ინფორმაცია ძირითადად მოიცავდა მონაცემებს ხელშემწყობი გარემოებებისა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ. ასევე, პოლიტიზების ინსტრუმენტების ანალიზსა და მანკიერი პრაქტიკის შესწავლას.

უკვე მოგვიანებით, ვერტიკალური პრინციპის დაცვით, მიღებული ინფორმაცია განიხილებოდა საკოორდინაციო შეხვედრებზე, სადაც რეგიონული ნდობის ჯგუფების კოორდინატორები, პროექტის ხელმძღვანელთან ერთად, განიხილავდნენ და აზუსტებდნენ როგორც დარღვევებთან დაკავშირებულ შემთხვევებს, ასევე – ნდობის ჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. საკითხის სირთულისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით, განხილვებში, აგრეთვე, მონაწილეობას იღებდნენ პროექტის მულტიდისციპლინური გუნდის წევრები (განათლების, საარჩევნო საკითხების სპეციალისტები და უფლებადამცველები). წინამდებარე ანგარიში ეფუძნება სწორედ ზემოხსენებული მეთოდით შეგროვებული და შესწავლილი ყველა ტიპის ინფორმაციის და პარტნიორი ორგანიზაციებისაგან მიღებული მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, პროექტის დასრულების შედეგად, ადგილობრივი ნდობის ჯგუფები აგრძელებენ საქმიანობას და კომუნიკაციას როგორც ადგილობრივ, ასევე - ცენტრალურ დონეზე.

ნდობის ჯგუფები და მათი საქმიანობის შედეგი

ნდობის ჯგუფების საქმიანობის შედეგად, ფაქტობრივად, ადგილობრივ დონეზე საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივ ქსელს. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მხოლოდ ერთი მიზნით გაწევრიანდნენ ქსელში - შეამსუბუქონ და გაანეიტრალონ პოლიტიზების ინსტრუმენტების გავლენა განათლების სფეროში დასაქმებულ ადამიანებზე და გამოააშკარაონ შესაბამისი მანკიერი პრაქტიკა. აღნიშნული, ერთი მხრივ, გავლენას ახდენს კონკრეტული არჩევნების თანასწორ და სამართლიან პოლიტიკურ/საარჩევნო გარემოზე, და მეორე მხრივ უარყოფითად აისახება განათლების სისტემაზე და სახელმწიფო ინსტიტუციების ნდობის ხარისხზე. ეს კი ერთიანობაში ძლიერ ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე.

დეპოლიტიზების პროექტის ფარგლებში ნდობის ჯგუფები ჩამოყალიბდა საქართველოს 10 რეგიონში, რომლებშიც მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაერთო 120 ადამიანი. ასევე, განათლების დეპოლიტიზების საკითხებზე დამატებით ინტერესი გამოხატა და დისკუსიაში ჩაება ISFED-ის 90 დამკვირვებელი და სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმის 30 წევრი პედაგოგი.

რეგიონებში ნდობის ჯგუფების კოორდინაციით, როგორც პირისპირ, ისე ონლაინ გაიმართა საზოგადოებრივი შეხვედრები, სულ ჩატარდა 60 შეხვედრა დაახლოებით 850 ადამიანის მონაწილეობით.

ნდობის ჯგუფებს ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების ფორმატში შემხებლობა ჰქონდათ სკოლის მასწავლებელთან თუ სკოლის სხვა წარმომადგენლებთან. ასევე, მიზნობრივი შეხვედრები გაიმართა:

- აღმოსავლეთ ევროპის მულტიპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის (EECMD) რეგიონული დემოკრატიის სკოლების კურსდამთავრებულებთან;
- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) რეგიონულ კოორდინატორებთან და დამკვირვებლებთან;
- სახალხო დამცველის ადგილობრივ წარმომადგენლებთან;
- სამოქალაქო პლატფორმა სალამის წევრებთან;
- ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- პოლიტიკურ პარტიებთან და დამოუკიდებელ კანდიდატებთან;
- სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმის წევრ პედაგოგებთან;
- რეგიონული და ცენტრალური მედიის თანამშრომლებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პროექტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე ფოკუსირებისა, შეხვედრებში საკუთარი ინიციატივით მონაწილეობას იღებდნენ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომლებიც.

განსაკუთრებით მაღალი იყო აქტივობა სოციალური მედიის პლატფორმებზე. ნდობის ჯგუფის წევრები და კოორდინატორები პერმანენტულად აზიარებდნენ დეპოლიტიზებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ფეისბუკის საშუალებით. ინფორმაციის გაზიარება ხდებოდა როგორც პერსონალურ გვერდებზე, ისე ღია და დახურულ თემატურ ჯგუფებში (რეგიონის, ქალაქის, მასწავლებელთა და ა. შ.). სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ჯგუფის კოორდინატორის მარიამ გინოსიანისა და სამოქალაქო პლატფორმა სალამის დახმარებით პროექტის ფარგლებში გასავრცელებელი ინფორმაცია ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ნდობის ჯგუფებმა განიხილეს 44 სავარაუდო ფაქტი და ინფორმაცია არამართლზომიერი პოლიტიკური ხასიათის ჩარევების შესახებ.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ძალიან რთულია იმ ფაქტების იდენტიფიცირება, რომლებიც საჯარო

სკოლების თანამშრომლების იძულებით ჩართულობას ასახავს საარჩევნო პროცესებში ან/და სავარაუდო პოლიტიკური შეხედულების გამო დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს. ხშირად მასწავლებლები თუ განათლების სისტემაში დასაქმებული სხვა პირები არ საუბრობენ და დუმან, პოლიტიკური შეხედულებების გამო, მათ მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციასა და იძულებაზე.

საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად არ ყოფილა შემთხვევა, როცა მასწავლებლებს ეთქვათ, რომ ასეთი ქსელის საქმიანობა არარელევანტურია და არ პასუხობს რეალობას. პირიქით, რიგ შემთხვევებში, რეგიონული კოორდინატორის მიერ ჩატარებული შეხვედრების შემდგომ, კონკრეტული სკოლებიდან ათობით პედაგოგი წევრიანდებოდა კოორდინატორის მიერ შექმნილ რეგიონულ ჯგუფებში. აღნიშნული გვაფიქრებინებს როგორც კონკრეტულ სკოლებში არსებული პრობლემის, ასევე, ზოგადად, სკოლების პოლიტიზების კუთხით სისტემური გამოწვევის არსებობაზე.

ქსელის ფორმატში არაფორმალური შეხვედრებისას, კონფიდენციალურობის დაცვით, შესაძლებელი გახდა არსებულ ფაქტებზე მსჯელობა. შეგროვდა ფაქტები და მოვლენები, მათ შორის მედია საშუალებებისა დასადამკვირვებლო მისიების მიერ იდენტიფიცირებული, ნათლად წარმოაჩენს განათლების სფეროს სისტემურ პრობლემას და რომლებიც პოლიტიზების ინსტრუმენტებს. თუმცა, კიდევ ერთხელ, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები თუ სხვა პირები, რომლებიც უზიარებდნენრიგ ფაქტებს ნდობის ჯგუფის წევრებს, უმეტესწილად, ანონიმურობას ამჯობინებდნენ.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ჯგუფების/ქსელის მუშაობის პროცესში ადგილი არ ჰქონია საქმიანობის ხელშეშლას ან ხელშეშლის მცდელობას, არ დაფიქსირებულა გამოკვეთილად აგრესიული ქცევა წევრთა მიმართ. თუმცა, საანგარიშო პერიოდში მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, იყო შემთხვევები, როდესაც დირექტორებთან გამართულ შეხვედრებზე, რესურსცენტრის წარმომადგენლები აფრთხილებდნენ მათ, რომ მორიდებოდნენ წინასაარჩევნო აგიტაციას ან რაიმე არამართლზომიერ ქმედებას სკოლის ტერიტორიაზე. სიფრთხილის მიზეზად სკოლების დეპოლიტიზების მოძრაობა სახელდებოდა. აღნიშნული, კიდევ ერთხელ მიგვითითებს ამ მიმართულებით აქტივობის საჭიროების შესახებ.

ფაქტობრივად, ადგილობრივმა ნდობის ჯგუფებმა პირველადი მისია შეასრულეს. ადგილობრივ დონეზე, მულტიდისციპლინური ჯგუფის ჩართულობით და მხარდაჭერით (ადგილობრივი და ცენტრალური ორგანიზაციები და წარმომადგენლები), შეიქმნა საზოგადოებრივი ქსელი, რომელიც პროექტის მიღმაც აგრძელებს საქმიანობას.[5]

ქსელის საქმიანობის ანალიზით ჩანს, რომ მეტი ძალისხმევაა საჭირო განათლების სისტემაში დასაქმებული ადამიანების დასარწმუნებლად, რომ საჯაროობა ყველაზე კარგი დაცვის საშუალებაა და, რომ თამამად შეეწინააღმდეგონ მათ მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებს, გათავისუფლდნენ თვითცენზურისგან და საჯაროდ ისაუბრონ არსებულ გამოწვევებზე.

რეგიონული ჯგუფების მიერ მოკრებილი ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, აღმოჩნდა, რომ:

- **განათლების სისტემაში პოლიტიზების ინსტრუმენტების გამოყენება სისტემური პრობლემაა.** იგი არ არის ფრაგმენტული და არსებული პრაქტიკის ანალიზით ჩანს, რომ წლებია მეორდება, მოიცავს ყველა მუნიციპალიტეტსა და საჯარო სკოლას. მასში ჩართულია განათლების სისტემის თუ სხვა უწყებების (თვითმმართველობა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები) და პოლიტიკური ვერტიკალის თითქმის ყველა აქტორი, ჩამოყალიბებულია გავლენის მოხდენის მეთოდოლოგია, მათ შორის განათლების სისტემაში არსებული სამართლებრივი მექანიზმების ჩათვლით (განათლების სამინისტროს შიდა აუდიტი, საჯარო სკოლის დირექტორთა მოვალეობის შემსრულებლებად დანიშვნა და მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილება, საგაკვეთილო საათების გადანაწილება);
- **განათლების სისტემაში დასაქმებული ადამიანები (საჯარო სკოლის მასწავლებლები, დირექტორები და სხვა თანამშრომლები) თვითცენზურას მიმართავენ.** პოლიტიკური წნეხი

[5] სკოლების დეპოლიტიზების მოძრაობა რამიზ რამიზანოვის სავარაუდო პოლიტიკური შევიწროების საქმესაც გამოეხმაურა. განცხადება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://efageorgia.ge/%e1%83%a1%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%93%e1%83%94%e1%83%9e%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%96%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%96/

მასწავლებლებში/დირექტორებში აღვივებს/აღძრავს შიშს, რის საფუძველზეც, ისინი თავს იკავებენ განსხვავებული პოლიტიკური აზრის დაფიქსირებისგან, იძულებით ერთვებიან საარჩევნო/პოლიტიკურ აქტივობებში და საჯაროდ ვერ გამოხატავენ სოლიდარობას იმ კოლეგების მიმართ, რომლებიც სისტემის მსხვერპლი გახდნენ სწორედ განსხვავებული აზრისა და პოლიტიკური შეხედულებების გამო;

> ***ციტატა ნდობის ჯგუფების ანგარიშებიდან:*** *„ეით-ეით შეკრებაზე პედაგოგებმა თვითცენზურის მოტივად დაასახელეს საათების განაწილების პრაქტიკა. „მყვიხაღა", აქტიური მასწავლებლების დასჯის ეით-ეით გავრცელებულ მეთოდს სწორედ საათების შემცირება/ჩამორთმევა წარმოადგენს."*

- **საარჩევნო პერიოდში პოლიტიზების ინსტრუმენტები და წნეხი ძლიერდება,** თუმცა, მაღალი ალბათობით, **ზეწოლის და შევიწროების პრაქტიკა რისკს ქმნის, რომ მას რეგულარულად იყენებენ არამართლზომიერი გავლენების, კლიენტარიზმისა და პატერნალიზმის თუ მიკერძოებული მიდგომების დასანერგად.** ძალაუფლებასა და სოციალურ უთანასწორობაზე დაფუძნებული ურთიერთობა კი ხელს უწყობს მთლიანად საგანმანათლებლო სისტემაში არაჯანსაღ კულტურას და მანკიერი პრაქტიკის დანერგვას, რაც წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრული ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებთან.[6] კერძოდ, ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-3 მუხლის მიხედვით საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: **ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;** ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, **ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.**

> ***ციტატა ნდობის ჯგუფების ანგარიშებიდან:*** *„მასწავლებლები ფიქრობენ, რომ პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართვა ჩვეულებრივი მოვლენაა და მათი საქმიანობის თანმდევ აქტივობას წარმოადგენს..."*

როგორც აღინიშნა, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე გამოკვეთილი ზიანის შესამცირებლად და ცნობიერების ასამაღლებლად ქსელში მუშაობა გრძელდება, თუმცა ამისთვის მნიშვნელოვანია მეტი გარე აქტორის/საზოგადოების მობილიზება არსებული სისტემური პრობლემების წინააღმდეგ. მხოლოდ საკითხის საჯაროდ განხილვისა და ფართო საზოგადოების დაკვეთით არის შესაძლებელი აღნიშნული სისტემური პრობლემების დაძლევა. ამ მხრივ, ერთ-ერთი მაგალითია, 2012 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №1375 ბრძანების საფუძველზე სპეციალური - სამინისტროსგან ფუნქციონალურად და სტრუქტურულად დამოუკიდებელი - კომისიის შექმნა.[7] კომისიის მიზანი იყო, გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფით, განათლების სისტემაში თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო, სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შესწავლა და საზოგადოების ნდობის განმტკიცება. თუმცა, ერთჯერადი ჩარევით, სისტემური პრობლემა ვერ აღმოიფხვრა.

ქსელის გაძლიერება და თანმიმდევრული სტრატეგია ხელს შეუწყობს სკოლების დეპოლიტიზებას და საქართველოს მასშტაბით არსებული ერთგვაროვანი პოლიტიზების ინსტრუმენტების ეფექტიანობის შემცირებას.

---

[6] იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90#!

[7] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის ანგარიში.

პოლიტიზების ინსტრუმენტები

ნდობის ჯგუფების წევრთა საქმიანობის პროცესში ადგილობრივ დონეზე მიზნობრივ ჯგუფებთან პერმანენტული კომუნიკაციის, იდენტიფიცირებული და შესწავლილი ფაქტების, მოვლენების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვკვეთოთ პოლიტიზების ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც საქართველოს მასშტაბით ერთგვაროვანია. კერძოდ:

დაშინება, მუქარა, იძულება, ძალადობა

დაკვირვებამ აჩვენა, რომ იძულება სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. ზეწოლის შემთხვევები ძირითადად იკვეთება მმართველი პარტიის კოორდინატორების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების, რესურსცენტრის თანამშრომლებისა და დირექტორების მხრიდან.

ფორმებიც მრავალფეროვანია - პირდაპირი და ირიბი, ფსიქოლოგიური ზეწოლა, დაშინება, მუქარა, შანტაჟი, იძულება - გარკვეული ფინანსური სარგებლის მიღების/დაკარგვის, მათი და მათი ოჯახის წევრების პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების, თანამდებობრივი სტატუსის შეცვლის, წახალისების ან დაქვეითების, რაც პირდაპირ აისახება მათ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

> ***ციტატა ნდობის ჯგუფების ანგარიშებიდან:*** *„დეპოლიტიზების მოძრაობის მიზნების გაცნობისას, ეს-ეს მასწავლებელი, დაჟინებით გვიმტკიცებდა, რომ „ოცნების“ მხარდამჭერია, თუმცა თავიდანვე ავუხსენით, რომ ჩვენი მოძრაობა არ არის პარტიული და ჩვენი მიზანი მასწავლებლის პოლიტიკური სიმპათიების გარკვევა არ არის.“*

> ***ციტატა ნდობის ჯგუფების ანგარიშებიდან:*** *„მასწავლებლებს, თვითცენზურის შემთხვევებში, სხვადასხვა მოტივი თუ შიში ამოძრავებთ, მათ შორისაა პირადი ცხოვრების შესახებ მითქმა-მოთქმის (ჭორების) გავრცელების მოლოდინი.“*

მსგავსი ტიპის ქმედებები უფრო აქტიურია წინასაარჩევნო პერიოდში, როცა მასწავლებლები/დირექტორები იძულებულნი არიან დაესწრონ კანდიდატების შეხვედრებს, ამასთან, სურთ თუ არა, მაინც იყვნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (განსაკუთრებით სოფლებში, სადაც მცირე კონტინგენტია), ასევე – სხვადასხვა აქტივობით სანაცნობო წრეში თუ სოციალური ქსელებით ღიად დააფიქსირონ, ძირითადად, სახელისუფლებო კანდიდატების მიმართ მხარდაჭერა. დიდწილად, იძულებით დაესწრონ მმართველი პარტიის მიერ ორგანიზებულ აქციებსა და კამპანიური ხასიათის ღონისძიებებს.

სკოლის დირექტორების „კეთილი რჩევები“ და საგაკვეთილო საათების ჩამორთმევა

მავნე პრაქტიკად იქცა საჯარო სკოლების დირექტორების მხრიდან ე. წ. „კეთილი რჩევების“ მიცემა (განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში) მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირებისთვის. ეს „კეთილი რჩევები“ ხშირად ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმას იძენს. მესიჯი - მათი მხრიდან „პრობლემების“ შექმნას უკავშირდება და ხშირად ურჩევენ თავიანთ თანამშრომლებს, რომ „პრობლემები“ არ შეექმნებათ, თუ მმართველ პარტიას დაუჭერენ მხარს. მინიშნება მასწავლებლებისთვის, – თუ ხელისუფლება შეიცვლება, არავინ იცის, რა მოუვა მათ სამსახურს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მასწავლებლების მხრიდან სამოქალაქო თუ განსხვავებული პოლიტიკური პოზიციის საჯაროდ დაფიქსირების გამო, დირექტორები, ხშირ შემთხვევაში, დასჯის ბერკეტად საათების განაწილების მექანიზმს იყენებენ.

ძირითადად სკოლის დირექტორები იღებენ მითითებებს, რომელთა უსიტყვოდ შესრულება უწევთ თანამდებობის შენარჩუნების ან დამატებითი პირადი სარგებლის მიღების მიზნით. ანალოგიური დამოკიდებულებაა სკოლაში დასაქმებულ სხვა თანამშრომლებთანაც, რომლე-

ბიც სამსახურის დაკარგვის ან დაკარგვის მუქარის შემთხვევაშიც კი, პოლიტიკური გავლენით გამოწვეული შიშის გამო, ხმამაღლა ვერ/არ საუბრობენ პრობლემებზე.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, გაერთიანების, პოლიტიკურ პარტიაში საქმიანობის უფლების შეზღუდვა;

ზღუდავენ სასკოლო საზოგადოების გამოხატვის თავისუფლებას და პოლიტიკურ/საარჩევნო უფლებებს.

კონტროლდება პედაგოგების და მათი ოჯახის წევრების სოციალური ქსელების პირადი ანგარიშები. ოპოზიციური პარტიების პოსტების მოწონების ან სხვა დადებითი ემოციის გამოხატვის, კომენტარის დატოვების ან მათთვის მხარდაჭერის გამოხატვის ნებისმიერი ფორმა ხდება განხილვის თემა. ხშირად აიძულებენ მსგავსი კომენტარების წაშლას, აიძულებენ მმართველი პარტიის კანდიდატებისთვის ღია მხარდაჭერას.

ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით არწმუნებენ, რომ მსგავსმა ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლების შემცირება, სოციალური დახმარების მიღების შეწყვეტა. აიძულებენ სააგიტაციო შეხვედრებსა თუ აქციებში მონაწილეობის მიღებას, ამის არაერთი მაგალითიც არსებობს, მათ შორის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას (მაგ. 27 ოქტომბერს, ქართული ოცნების მიერ ორგანიზებული ე. წ. „შემაჯამებელი აქცია," როდესაც მასწავლებლების გადაადგილება ორგანიზებული იყო მუნიციპალიტეტების მერიის მიერ. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ეთნიკური უმცირესობებისა და პერიფერიული მუნიციპალიტეტების სოფლებში მცხოვრები მასწავლებლების ჩართულობა).

იმ ოპოზიციურ კანდიდატებს, რომლებსაც აქვთ მოქმედი პედაგოგის სტატუსი ან ჰყავთ სკოლაში დასაქმებული ოჯახის წევრი, აიძულებენ მოხსნან კანდიდატურა მმართველი პარტიის სასარგებლოდ. ხშირად, მასწავლებლებზე გავლენის მოსახდენად იყენებენ ოჯახის წევრებს, მეუღლეს, შვილს, რომლებიც არწმუნებენ მათ, არ წავიდნენ მმართველი პარტიის კანდიდატის წინააღმდეგ, მოხსნან კანდიდატურა ან/და გამოიყენონ თვითცენზურა პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვისას.

ონლაინ საგაკვეთილო საათების ხარჯზე პედაგოგთა შეხვედრებში მონაწილეობა/მობილიზება

მმართველი პარტიის სასარგებლო საარჩევნო ღონისძიებებში ჩართული პედაგოგები სარგებლობენ დამატებითი შეღავათებით.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრება, მმართველი პარტიის კანდიდატების შეხვედრებში მონაწილეობისას საგაკვეთილო პროცესისგან გათავისუფლება, ცხრილის მორგება და სხვა ხელშეწყობა დადგენილი პრაქტიკაა.

პოტენციურ მხარდამჭერთა სიებზე მუშაობის იძულება. არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე გამოცხადების და ნების გამოხატვის კონტროლი

წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად ავალებენ მხარდამჭერთა პერსონალური ინფორმაციის შეგროვება/დამუშავებას და მხარდამჭერთა მობილიზებას.

ნდობის ჯგუფის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოიკვეთა, რომ გავრცელებული პრაქტიკაა მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლების მიერ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მასწავლებლებთან განხორციელებული ზარები. სატელეფონო ზარების მიზანია როგორც არჩევნებზე მისვლის, ასევე – ნების გამოხატვის კონტროლი.

პოლიტიკური წნეხი მასწავლებლებში/დირექტორებში აღძრავს შიშს, რაც მათ აიძულებს დამალონ საკუთარი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, ჩაერთონ მმართველი პოლიტიკური პარტიის სასარგებლო საარჩევნო აქტივობებში და მინიმუმ, საარჩევნო პერიოდში მაინც არ დაუჭირონ მხარი ღიად სხვა პოლიტიკურ პარტიებს. გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ მათი ხმების ფარულობა არ არის დაცული და შეუძლიათ გაიგონ, ვის მისცემენ ხმას.

დასკვნა და რეკომენდაციები

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული პირების პოლიტიზება და მათი გამოყენება საარჩევნო/პოლიტიკურ პროცესებში აქტუალურია და არც მასშტაბებია შემცირებული. მართალია, მსგავსი ფაქტების იდენტიფიცირება ძალიან რთულია და ხშირად ადამიანები არ საუბრობენ პოლიტიკური შეხედულებების გამო მათ მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციაზე, ასევე, იმ იძულებასა და ძალადობაზე, რომელიც წინასაარჩევნო პროცესში ჩართვით, საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებით ან/და პარტიულ შეხვედრებზე სავალდებულო წესით დასწრებით გამოიხატება, თუმცა, ადგილობრივი ნდობის ჯგუფების საქმიანობის პროცესში ისეთი სისტემური პრობლემები გამოვლინდა, რომლებიც წლებია აქტუალურია და არც 2018, 2020 და 2021 წლის საარჩევნო ციკლისთვის იყო სიახლე. ამ საკითხზე საუბარია არაერთ სადამკვირვებლო ორგანიზაციის სპეციალურ ანგარიშსა თუ განათლების კოალიციის მიერ ჩატარებულ კვლევაში.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევის – „უფლებამოსილების ვადის გასვლა, როგორც სკოლის დირექტორთა დასჯის მექანიზმი“ – მიხედვით: „ხშირად ხდება საჯარო სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლების საარჩევნო კამპანიაში იძულებით ჩართვა და ზეწოლის ბერკეტად სამსახურის შენარჩუნების გამოყენება. აღნიშნულმა პრობლემამ განსაკუთრებით 2018 წლის საპრეზიდენტო და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას იჩინა თავი. „სამართლიანი არჩევნების“ მიხედვით, 2018 წელს, აქტიურად ხდებოდა მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ აგიტაციის გაწევის და მისთვის არჩევნებზე ხმის მიცემის იძულება. ზეწოლის ბერკეტად გამოიყენებოდა საჯარო სკოლებში განხორციელებული დაუგეგმავი ინსპექტირებებიც. ერთ-ერთ ასეთ ფაქტს - ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლაში საპრეზიდენტო არჩევნების პირველ და მეორე ტურებს შორის ჩატარებულ არაგეგმიურ ინსპექტირებას - საბოლოოდ, სკოლის დირექტორის გარდაცვალება მოჰყვა“.[8]

> იგივე ია კერზაიას საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ: „ ინსპექტირების საფუძვლად გამოყენებული განცხადების განათლების სამინისტროს **5 მოხელის მიერ 8 წუთში განხილვა აჩენს ეჭვს, რომ წერილის შესწავლა არ მომხდარა სათანადოდ და მისი უმოკლეს ვადაში „განხილვა“** შესაძლოა წარმოადგენდა **მიზანმიმართულ, წინასწარ დაგეგმილ ფორმალურ პროცესს**. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურამდე (28 ნოემბრამდე) ინსპექტირების განხორციელება, **სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა სკოლის დირექტორზე (ირიბად სხვა სკოლის დირექტორებზე) პოლიტიკური ზეწოლის შესაძლო მოხდენას,“**[9]

განათლების კოალიციის კვლევის – „სკოლების დეპოლიტიზება – გამოწვევები და ტენდენციები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჭრილში“ – ფარგლებში საჯარო სკოლის დირექტორთა მოვალეობის შემსრულებლებად დანიშვნისა და მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოიკვეთა პოლიტიკური მიზნებით სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებისა და შერჩევითი მიდგომის ფაქტები. კვლევაში ვკითხულობთ, რომ:

„ფორმალურად სამინისტრომ კანონის მოთხოვნა არ დაარღვია, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, გაჩნდა ეჭვები მექანიზმის პოლიტიკური ნიშნით გამოყენებასთან დაკავშირებით შემდგომ გარემოებათა გამო:

- იმ დირექტორთა შორის, რომელთაც ამოეწურათ ვადა, საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად მხოლოდ ნაწილი დაინიშნა.

[8] კვლევის ბმული ხელმისაწვდომია: https://www.isfed.ge/geo/angarishebi/uflebamosilebis-vadis-gasvla-rogorts-skolis-direqtorta-dasdjis-meqanizmi

[9] ბმული ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/skolebshi-inspeqtirebis-meqanizms-savaraudod-saarchevno-garemoze-zemoqmedebis-mokhdenis-miznit-iyenebdnen#sthash.nDO7SBOC.SLWvBdts.dpbs

- არ არის განჭვრეტადი ის კრიტერიუმები და პროცედურა, რომლის მიხედვითაც მოხდა დროებით მოვალეობის შემსრულებელთა შერჩევა და დანიშვნა და, ასევე, ის გარემოებები, რატომ ეთქვა რიგ დირექტორებს უარი დანიშვნაზე.“[10]

> მოგვიანებით, დოდო ჭოტორლიშვილის საქმეზე, რომელზეც განათლების კოალიციის ანგარიშშია[11] საუბარი, **სახალხო დამცველმა სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მის ხელმეორედ დანიშვნაზე უარი პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციად შეაფასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში პოლიტიკური შეხედულების ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციით მიმართა.**[12]

რეკომენდაციით სახალხო დამცველმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მოუწოდა:

- ხელახლა ჩაატაროს აღნიშნული საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი;
- დაუყოვნებლივ შეიმუშაოს განჭვრეტადი კრიტერიუმები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც, საჯარო სკოლების დირექტორების განმეორებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა-გათავისუფლების მიზანშეწონილობა განისაზღვრება;
- გადადგას ქმედითი ნაბიჯები საგანმანათლებლო დაწესებულებების დეპოლიტიზების მიმართულებით;
- მომავალში თავი შეიკავოს შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში დისკრიმინაციული მოპყრობისგან და საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპების უპირატესი დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს პოლიტიზების ინსტრუმენტების ნეგატიური გავლენის შემცირებას და ერთიანობაში მნიშვნელოვანი მექანიზმი იქნება სისტემური პრობლემების მოგვარების საქმეში. კერძოდ:

- **სახელმწიფომ:**
  - უზრუნველყოს სახელმწიფო უწყებების (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის და სამართალდამცავი ორგანოები) მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა, რაც ინსტიტუციების სანდოობის გაზრდასაც შეუწყობს ხელს;
  - უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის დაცვა, რათა არ მოხდეს როგორც ადმინისტრაციული რესურსის, ასევე – სავარაუდო იძულების მექანიზმების გამოყენება.
- **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ:**
  - უზრუნველყოს ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრული ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების შესრულება და საჯარო სკოლებში ჯანსაღი გარემოს შექმნა;
  - უზრუნველყოს საჯარო სკოლების დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელთა შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება;
  - გადაიხედოს განათლების მინისტრის ბრძანებით დადგენილი შიდა აუდიტის მექანიზმი, იმგვარად, რომ იგი არ იქცეს სადამსჯელო ინსტრუმენტად საჯარო სკოლის დირექტორებისთვის მათი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო;
  - უზრუნველყოს საჯარო სკოლების ავტონომიის მეტი გარანტიები და მეტად ფორმალიზებული ანგარიშვალდებულების, სკოლისა და დირექტორის ეფექტიანობის შეფასებისა და ინსპექტირების პოლიტიკისა და მექანიზმების ჩამოყალიბება.
- **საჯარო სკოლების დირექტორებმა:**
  - დაიცვან მათ სკოლებში დასაქმებულთა უფლებები;
  - თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომელიც სცდება მათ კომპეტენციას, დაიცვან

[10] კვლევის ბმული ხელმისაწვდომია: http://efageorgia.ge/wp-content/uploads/2021/01/sklebis-depolitizeba.pdf

[11] იქვე

[12] სახალხო დამცველის რეკომენდაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/spetsialuri-angarishi-bavshvze-seksualuri-dzaladobisa-da-seksualuri-ekploatatsiis-danashaulebze-martlmsajulebis-gankhortsieleba?fbclid=IwAR3WpL9D8ZYjBVWSP3Y2fVV52_vkQ9u4xF9ERpsemKaO10ToUUyIC8_MOTs

სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი და ზოგადი განათლების შესახებ კანონი;

- პოლიტიკური უფლებების რეალიზებისა და საქმიანობისას ბოროტად არ გამოიყენონ სამსახურებრივი უფლებამოსილება და დაიცვან საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები.

პოლიტიკურმა პარტიებმა:

- წინასაარჩევნო კამპანიური ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისას უზრუნველყონ საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული ადამიანების უფლებების დაცვა;
- უზრუნველყონ რეგიონული კოორდინატორების საქმიანობის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიის განვითარებაზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:

- საქართველოს მასშტაბით ხელი შეუწყონ საჯარო სკოლის თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელებას;
- ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყონ ნდობის ჯგუფების და ქსელის გაძლიერებას, რომელიც მუშაობს განათლების სისტემაში არსებული პრობლემური საკითხების ღიაობასა და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენაზე, ეს კი ერთიანობაში ხელს შეუწყობს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის მექანიზმების და ზედამხედველობის პრაქტიკის გაძლიერებას.